ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

# ანგარიში

# 2023 წ. პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

2023 წელი

## 1. შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

## 2. მოკლე მიმოხილვა

2023 წლის წლიური გეგმა  დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 დეკემბრის N№68 68223403 ბრძანებით. გეგმით გათვალისწინებული იყო 7 ობიექტის შემოწმება:1) ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ 2) ა(ა)იპ ,,კულტურისა და ხელოვნების ცენტრი'' 3) მერიის ადმინისტრაციული სამსახური, 4) მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, 5) მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, 6)მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური,  7) ა(ა)იპ,,სამუსიკო სკოლა“ და აღნიშნული ობიექტები რისკის შეწონვის მიხედვით მოხვდნენ უფრო მაღალი რისკის მატარებელთა რიცხვში. რისკის განმსაზღვრელად შეირჩა 6 რისკ-ფაქტორი: ბიუჯეტის გავლენა/ხარჯების მოცულობა, შიდა კონტროლის ხარისხი, წინა აუდიტორული შემოწმების ჩატარების ხანგრძლივობა და შედეგები, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება, მომხმარებელთა რაოდენობა, დარღვევის ალბათობა.

## 3. განხორციელებული ღონისძიებები

09.01.2023-02.03.2023  პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა (ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას. შემოწმდა 01.01.2020 წლიდან 01.01.2023 წლამდე  სამუშაო პერიოდი.  ორგანიზაციას ჰქონდა ხარვეზები მუშაობაში და მიეცა 6 რეკომენდაცია. ხარვეზები იყო შემდეგი:

გაერთიანებას შესამოწმებელ პერიოდში შემუშავებული ქონდა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებშიც იყო ხარვეზები, კერძოდ:

2020 წლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებულია დამხმარე ბუღალტრის ფუნქციები, ხოლო ამავე წლის საშტატო განრიგში არაა ასეთი პოზიცია, საშტატო განრიგში მითითებულია ბუღალტრის პოზიცია. ამავე წლის 01 აგვისტოს შედგენილ საშტატო განრიგში არის პროგრამების მენეჯერის პოზიცია, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებში არაა ასახულ მისი ფუნქციები, ასევე არაა ასახული ჯგუფის უფროსის, დიზაინერის, შემკეთებელი ზეინკლის, მქლორავის, აღრიცხვა-მონიტორინგის სპეციალისტის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სპეცილისტის, მებაღე სპეციალისტის, ჩითილების გამომყვანის, აღმრიცხველის ფუნქციები, თუმცა საშტატო განრიგში არსებობს ხსენებული პოზიციები. ზოგ შემთხვევაში საშტატო განრიგით არაა განსაზღვრული პოზიციები, მაგრამ თანამდებობრივ ინსტრუქციებშია მოცემული, კერძოდ, უბნის უფროსის, დასუფთავების ჯგუფის უფროსის, ნარჩენების აღრიცხვის ოპერატორის ფუნქციები. ასევე ადგილი აქვს პოზიციათა ფუნქციების დუბლირებას, მაგალითისთვის მოვიხმობთ ავტო შემკეთებლისა და მექანიკოსის პოზიციებს, რომელთა ფუნქციებშიც გაწერილია ავტომანქანის შეკეთება. თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო განრიგებში შეუსაბამობაა 2021-2022 წლებშიც.

2020 წელს ხელმძღვანელის მიერ შედგენილ ზოგიერთ ბრძანებაში არასწორადაა გაანგარიშებული შვებულების დღეები, არის შვებულების დღის დაკლების შემთხვევა და პირიქით, 1 დღით მეტი ვადით შვებულების მიცემის შემთხვევაც. ასეთი შეუსაბამობაა 2021 წლის ივნისამდე პერიოდშიც. 2021 წლის ივლისიდან ორგანიზაცია გადავიდა საქმიანობის ელექტრონულ სისტემაზე და აღმოფხვრილია მსგავსი შეუსაბამობები. შესამოწმებელი პერიოდში შედგენილ ბრძანებებში შვებულების შესახებ არაა მითითებული სამართლებრივი ნორმა შვებულებასთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 იანვრის ბრძანებით ვლადიმერ გრიგალაშვილი მიღებულია სამსახურში 1 თვის გამოსაცდელი ვადით 1 მარტამდე. არაა შედგენილი ბრძანება ვ. გრიგალაშვილის შრომითი ხელშკრულების გაგრძელების შესახებ. ასევეა ზაზა მაქაძის შემთხვევაშიც (იხ. 30.07.2020წ N 137 ბრძანება). 2020 წლის 10 აგვისტოს N 148 ბრძანების საფუძველზე რევაზი ღამბაშიძე გაშვებულია შვებულებაში და არაა შედგენილი ბრძანება მისი შვებულებიდან დაბრუნების შესახებ, ასევეა ზურაბ ნიქაცაძის შემთხვევაშიც (იხ. 30.10.2020წ N 272 ბრძანება. 08.12.2020წ. N 301 ბრძანები). ამირან ბარბაქაძე დაბრუნდა შვებულებიდან 9 დეკემბერს. ბრძანება 8 დეკემბერსაა შედგენილი და მითითებულია, რომ დაბრუნდა შვებულებიდან 9 დეკემბერს..

2020 წლის 30 მარტის N 74 ბრძანების საფუძველზე, ჯაბა ჩერქეზიშვილს მიეცა დანამატი 500 ლარის ოდენობით მანქანაზე „კარტერის“ მოხსნისა და ძრავის ღერძის დამკავებლის შეცვლის გამო. ძრავის ღერძის დამკავებელი შეძენილი იქნა მის მიერ შესყიდვის გარეშე. აღნიშნული შეუსაბამობაშია სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივ ნორმებთან. 2020 წლის 10 აპრილის N76 და N77 ბრძანებებით იგორ კერესელიძეს და მერაბ მიქელაძეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდათ გაფრთხილება, შესაბამისი ბრძანება შედგა, მაგრამ მათ არ ჩაბარებიათ.

ზვიადი ლომიძე მიღებული იქნა სამსახურში 2020 წლის 30 აგვისტოს 1 თვის გამოსაცდელი ვადით, 1 აგვისტომდე 30.06.2020წ N104 ბრძანების საფუძველზე. მას ვადა გაუგრძელდა 5 აგვისტოს, 3 დღის დაგვიანებით.

გაერთიანებაში 2020-2021 წლებში ჩატარებულია ინვენტარიზაცია, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებას, ხოლო 2022 წელში ჩატარებული ინვენტარიზაცია არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებას.

დადგინდა შესაბამისობის და ფინანუსური რისკები.

გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ყურადღება მიექცეს ობექტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტების უშეცდომოდ შედგენას. ბრძანებებში მიეთითოს სამართლებრივი საფუძველი, ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე.შვებულების დღეების გაანგარიშება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. საშტატო განრიგები და თანამდებობრივი ინსტრუქციები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.
3. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ის წესდებაში შესწორება იქნას შეტანილი ორგანიზაციის და ელექტრონული ფოსტის მისამართებთან დაკავშირებით.
4. ყურადღება მიექცეს შესყიდვების წლიური გეგმის დროულად ატვირთვას შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.
5. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების სწორად შედგენას, რათა არ მოხდეს გადახარჯვები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
6. უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1. **ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ის შიდა აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა 2023 წლის 06 მარტიდან 02 მაისამდე. შემოწმებული იქნა 2021 წლის 01 იანვრიდა 2023 წლის 01 იანვრამდე პერიოდის საქმიანობა. აუდიტის სახე-ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.**

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ საკანცელარიო დოკუმენტების წარმოებაში ქონდა შემდეგი სახის ხარვეზები:

2021 წლის საშტატო განრიგში ასახული საშტატო ერთეულები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამება თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებულ პოზიციებს, კერძოდ, საშტატო განრიგში ასახულია დაკომპლექტების სპეციალისტის, მსახიობი-ზეპირსიტყვიერების დარგის სპეციალისტის, დეკორატორის, რეკვიზიტორის, სამეჯლისო ცეკვების ხელმძღვანელის საშტატო ერთეულები და ისინი არაა თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ასევე შეუსაბამობაა 2022 წლის საშტატო განრიგებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს შორის, კერძოდ, საშტატო განრიგში მითითებულია საქმეთა მმართველის შტატი, ხოლო თანამდებობრი ინსტრუქციებში

საქმის მწარმოებებლი. საშტატო განრიგებში მითითებულია მსახიობის ზეპირსიტყვიერების დარგის სპეციალისტის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ხელმძღვანელის, რეკვიზიტორის, სპეციალისტის კულტურის დარგში პოზიციები, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებში არაა ისინი ასახული. თანამდებობრივ ინსტრუქციებში დუბლირებულია უფროსი ფონდის მცველის და ფონდის მცველის ფუნქციები. 03.10.2022წ საშტატო განრიგში შეტანილი ცვლილების მიხედვით, არის დაკომპლექტების სპეციალისტის საშტატო ერთეული, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებში არაა ასეთი პოზიცია განსაზღვრული, ასევე 01.04.2022წ საშტატო განრიგში შეტანილია ფოტოგადამღების შტატი, მაგრამ აღნიშნული პოზიციაა არაა ასახული თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ესე იგი, არ არის თანამდებობრივ ინსტრუქციებში საშტატო განრიგში შეტანილი ცვლილების შესაბამისი ცვლილება ასახული.

ხარვეზებია ბრძანებების წიგნების წარმოების პროცესშიც:

2021 წლის 01 ივლისის N 27 ბრძანებით, სოფიო ტაბატაძე მიღებულია ამავე წლის 1 ოქტომბრამდე, გამოსაცდელი ვადით, 1 ოქტომბერს ხელშკრულების გაგრძელებაზე ბრძანება არაა შედგენილი, ხოლო პიროვნება აგრძელებს მუშაობას. დასაქმებულთა მიერ 2021 წელს შვებულებით სარგებლობის შესახებ ზოგიერთ განცხადებაში არაა მითითებული შვებულების დღეების რაოდენობა. ამავე წელს სამივლინებო დოკუმენტები შევსილია და ანაზღაურებულია მივლინება ისე, რომ არაა განცხადებები მივლინებაში გამგზავრების შესახებ წარმოდგენილი დასაქმებულთა მიერ. 15.07.2022წ შედგენილია ბრძანება თანამშრომლის შვებულების შესახებ, განცხადება დაწერილია 16 ივლისს და შვებულების დაწყების სასურველ თარიღად მითითბულია 17 ივლისი. 30.12.2021 N 127 ბრძანებაში არაა მითითებული დასაქმებულის სახელი და გვარი. 28.12.2021წ. N 119 ბრძანებით პიროვნება სარგებლობს შვებულებით, განცხადება შვებულების შესახებ შედგენილია 26 დეკემბრის თარიღით და შვებულების დაწყების თარიღად მოთხოვნილია 20 დეკემბერი. 14.07.2021წ. ირმა დეკანოსიძეს წარდგენილი აქვს შვებულების განცხადება, შესაბამისი ბრძანება ვერ მოიძებნა.

16.02. 2022წ N27 ბრძანებით მარი ვეფხვაძეს 17 თებერვლიდან გაუგრძელდა შრომითი ხელშკრულება 17 მაისამდე, არაა შედგენილი 17 მაისის შემდგომ ხელშეკრულების გაგრძელების ბრძანება. გაგა ბედიაშვილს გაუფორმდა შრომითიი ხელშკრულება 01.04.2022წ N 34 ბრძანებით და მასში არაა ხელშერულების ვადა მითითებული, რაც შეუსაბამობაშია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმასთან-შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის განსაზღვრა. 02.05.2022წ შედგენილია N58 ბრძანება იგივე გაგა ბედიაშვილისთვის ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ 01 აგვისტომდე ვადით, ხოლო 01 აგვისტოდან არაა ბრძანება ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ.

02.05.2022წ ერთი-N 57 ბრძანებითაა შშმ პირთა პროექტის ფარგლებში რამდენიმე თანამშრომელი დანიშნული. ბრძანება თითოეულ დასაქმებულზე ინდივიდუალურად უნდა შედგეს. 02.05.2022წ N 60 ბრძანების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულება 30 აგვისტომდე გაუგრძელდა სოფიო ტაბატაძეს, 30 აგვისტოს არაა ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ ბრძანება შწედგენილი. 08.06.2022წ N 71 ბრძანებით ლია ჯანიაშვილი დანიშნულია ამავე წლის 11 ივლისამდე ვადით, 11 ივლისს არაა შედგენილი ბრძანება ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ.

2022 წელსაც თანამშრომლები მივლინებით სარგებლობენ წერილობითი განცხადების გარეშე.

შრომითი ურთიერთობის საკითხების მიმართულებით ობიექტი საჭიროებს უფრო მეტ კონტროლს ხელმძღვანელი რგოლისგან.

2022 წელს ჩატარებულია ინვენტარიზაცია. აქტში შეტანილია პიანინო, რომელიც აწერია კინოთეატრს, მაგრამ განთავსებულია ლიტერატურულ თეატრის ადმინისტრაციულ შენობაში, თეატრალური თოჯინები აწერია აქტით კულტურის ცენტრს და განთავსებულია თეატრის შენობაში, კინოთეატრს აწერია 1 ერთეული დინამიკი, კულტურის ცენტრს- 3 დინამიკი, მაგრამ თეატრის შენობაში განთავსებულია 3 დინამიკი. ინვენტარი რომელ ადმინისტრაციულ შენობასაც აწერია გამოსაყენებლად, იქ უნდა იყოს განთავსებული. მიმართულების ხელმძღვანელის ხელოვნების დარგში - ბათუ კიკნაძის განმარტებით, „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ ფიზიკურმა პირმა საჩუქრად გადასცა როიალი, რომელიც არაა ინვენტარიზაციის აქტში ასახული, ასევე არაა ასახული1 ერთეული ფანდური და 1 ერთეული ჩონგური ნათხოვარი აქვს წერილობითი ხელშეკრულების გარეშე „ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრს“. აღნიშნულზე უნდა გაფორმდეს თხოვების ან ქირავნობის ხელშკრულება. ქირავნობის ხელშკრულებით ორგანიზაცია მიიღებს მატერიალურ სარგებელს.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2021 წლის შესყიდვის გეგმა ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით. რის გამოც დარღვეულია საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მუხლი 9, პუნქტი 4. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა.

რიგ შემთხვევებში სარემონტო სამუშაოების შესრულებისას არ არის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი და სამუშაოები ისეა შესრულებული. არ არსებობს აგრეთვე, დეფექტური და სამუშაოს შესრულების აქტები. არ არის შედგენილი დეფექტური და შესრულებული სამუშაოს აქტები სამეურნეო საქონლის შეძენის საჭიროებაზე და ჩამოწერისათვის.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ მერის მიერ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით აქვს გადახარჯვები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.აღნიშნული გადახარჯვები დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებით. ობიექტის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

. რეკომენდაციები.

1. უშეცდომოდ უნდა მოხდეს ბრძანებების წიგნების წარმოება, ყურადღება მიექცეს ბრძანებების სწორად შედგენას;
2. საშტატო განრიგებში მითითებული შტატების დასახელება უნდა შეესაბამებოდეს თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილ პოზიციებს;

3.მეტი ყურადღება მიექცეს კონტროლის მექანიზმს;

4. მივლინებით სარგებლობის შესახებ ბრძანება გამოიცეს მხოლოდ დასაქმებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე;
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა მოხდეს შესყიდვების წლიური გეგმის დროული ატვირთვა.

6.უნდა აღმოიფხვრას სხვადასხვა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადახარჯვის პრაქტიკა;

7. სხვადასხვა სამუშაოების (მათ შორის სარემონტო სამუშაოების) შესრულებამდე უნდა შედგეს დეფექტური აქტი, ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, განხორციელების შემდგომ კი შესრულებული სამუშაოს აქტი.
8. ინვენტარიზაციის აქტის შედგენა უნდა მოხდეს სრულყოფიად, ყველა ინვენტარი, რომელსაც იყენებს ცენტრი უნდა აისახოს ინვენტარიზაციის აქტში.

2. **„მერიის ადმინისტრაციული სამსახური“**-ს აუდიტორული შემოწმების პერიოდი მოიცავს 01.01.2018 წლიდან-01.01.2023 წლამდე პერიოდს,აუდიტის ჩატარების ვადა:03.05.2023წ.-30.06.2023წ.
შემოწმების შედეგად, ხარვეზები აღმოჩნდა სამსახურის საქმიანობაში კონტროლის სისტემის მიმართულებით. კონტროლის სისტემის მიმართულებით ხარვეზები:
სამსახურს არ აქვს შემუშავებული მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებოვრივი ინსტრუქციები, არადა ადმინისტრაციული აქტის პროექტების შემუშავების ვალდებულება აკისრია ადმინისტრაციულ სამსახურს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების თანახმად.
მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ერთ-ერთი ფუნქციაა მერიის მოსამსახურეთა

პროფესიული დონის ანალიზი, კადრების საჭიროებათა შესწავლას და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება, მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება. მერიაში კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ორგანიზება ისეა განხორციელებული, რომ არ არსებობს შესაბამისი აღრიცხვა თუ რამდენმა მოხელემ როდის და რა მიმართულებით გაიარა ტრენინგები და გაიცა თუ არა შესაბამისი სერტიფიკატები.

12.02.2018წ-07.06.2021წ სამსახურში შედიოდა სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც 2021 წელს გადაკეთდა სამსახურად რეორგანიზაციის შდეგად. ანგარიშში გაანალიზებულია აღნიშნული განყოფილების საქმიანობა მისი ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში. 2019 წელს დადებული ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი შეუსრულებელია და მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო ხელშკულებით გათვალისწინებულ სიკეთეებზე წვდომა, ამასთან შეწყვეტილი ხელშეკრულებების ნაცვლად დაიდო ახალი ხელშეკრულებები, რითაც მუნიციპალიტეტს გაეზარდა ხარჯი, რადგან გაძვირდა ხელშეკრულების ფასი, მაგალითად: შპს „ბორი“-სთან დადებული N49, 50; შპს „ნიუ გრუპი“-სთან დადებული N60,69, 107;შპს“ნიკასთან“ დადებული N77, შპს „ჭედასთან“ დადებული N64 ხელშეკრულებები. გაჭიანურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2020 წელშიც და ამ შემთხვევაშიც მოსახლეობამ ვერ მიიღო დროულად შესაბამისი სერვისი, კერძოდ სასოფლო გზების მოწყობა. მაგალითისთვის მოვიხმობთ: შპს „კავკასენერგოსთან“ დადებული N58 ხელშეკრულება 23.03.2020წ, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2021 წელს(ორეტაპიანი სამუშაოები) და დასრულდა 2022 წელს; ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ შეთანხმებაში საპატიო მიზეზი არაა დასახელებული. შპს „ალპედესთან“ ხელშეკრულება N52 დაიდო 16.03.2020წ და დამთავრდა დაგვიანებით, ამავე წლის 23 დეკემბერს. შპს „იმერმშენთან“ დადებული ხელშეკრულება დასრულდა 6 თვის დაგვიანებით. ასევე დაგვიანებით დასრულდა შპს „ბლექ სი გრუპთან“ და ი.მ „კახა სტეფნაძესთან“ დადებული ხელშეკრულებები. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს შეუსაბამობის არსებობასთან ხელშეკრულების პირობებთან, რაც გამოწვეულია კონტროლის სისტემის ხარვეზებით.

მერის წარმომადგენლეთა კოორდინაციის განყოფილებას სამსახურის დებულების მე-8 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, დაკისრებული აქვს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობაზე კონტროლი, ხოლო ამავე მუხლის „ე“ პუნქტით-კოორდინაციის გაწევა ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური ქონების აღრიცხვაზე და კონტროლის გაწევა მის მიზნობრივ გამოყენებაზე, რაც სამსახურის მიერ არ ხორციელდება. აღნიშნული  იმით დასტურდება, რომ არ მოიპოვება არცერთი წერილობითი დოკუმენტი ამ კუთხით. მოცემულ საკითხებთან

დაკავშირებით მერიაში შექმნილია კომისია(საინვენტარიზაციო) და კონტროლის ჯგუფი(სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების კონტროლისთვის), თუმცა, განყოფილების არცერთი თანამშრომელი აღნიშნული კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს. აღნიშნულიც კონტროლის სისტემის ხარვეზზე მიუთითებს. ამავე განყოფილებაში შედიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულში, რომლებიც გასცემენ ცნობებს და დოკუმენტებს სხვადასხვა საკითხებზე მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე. მათ ნაწარმოები უნდა ქონდეთ შესაბამისი ჟურნალები განცხადების შემოსვლის და პასუხის გაცემის შესახებ. ზოგიერთმა წარმომადგენემა ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები წლების მიხედვით სრულად ნაწარმოები, მაგალითად: ხევის, მოლითის, ხუნევის, კიცხის, წყალაფორეთის ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა. აღნიშნული საკითხი უნდა კონტროლდებოდეს პერიოდულად შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ, კერძოდ, განყოფილების უფროსის მიერ, ხოლო უფრო სრულყოფილი კონტროლისთვის, საჭიროა სამსახურის უფროსის ჩართულობაც.

სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით რეკომენდაციები ანგარიშში ვერ გაიცა, რადგან შემოწმების პერიოდის და დღეის მდგომარეობით აღნიშნული მიმართულება გასულია ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციებიდან.

ობიექტის ფუნქციონირების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შესაბამისობისა და შიდა კონტროლის ხარვეზები, რაც საფუძველია შესაბამისი რისკების.

რეკომენდაციები:

1. შემუშავებული და დამტკიცებული იქნას მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რაც ხელს შეუწყობს მოხელეთა ეფექტურ მუშაობას;
2. ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ჩართულობა მერიის მოსამსახურეთა პროფესიული დონის ანალიზი, კადრების საჭიროებათა შესწავლას და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადებაში, მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებაში; განხორციელდეს ტრენინგების ჩატარების აღრიცხვა, რაც ხელს შეუწყობს მოხელეთა გადამზადებისთვის გახარჯული თანხის მიზნობრიობის გამჭვირვალობას;

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსაზრება შიდა აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით 06.07.2023 N01-682318742 მოხსენებითი ბარათით. სამსახური დაეთანხმა 2 რეკომენდაციას: მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და კადრების საჭიროებათა შესწავლის  და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადების, მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, მე-3

რეკომენდაციას, ადმინისტრაციული სამსახურის  კოორდინაციის განყოფილების ფუნქციასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულს ადმინისტრაციული სამსახურის დებულების მე-8 მუხლით ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და კონტროლი მის მიზნობრივ გამოყენებაზე, ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობაზე კონტროლი მიუთითა, რომ პირველს ახორციელებს მერიის ეკონომიკისა ქონების მართვის სამსახური, ხოლო მეორეს ინფრასტრუქტურისა კეთილმოწყობისსამსახური და შესაბამისად, კოორდინაციის განყოფილების ფუნქციებიდან ამოღებული იქნება ისინი. სამსახუმა წარმოადგინა შესაბამისი პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს სხდომაზე  წარსადგენად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან ადგილი აქვს ფუნქციათა დუბლირებას მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის (რაც კონტროლის სისტემის ხარვეზზე მიუთითებს) და რადგან ზემოთ ხსენებულ ფუნქციებს ფაქტობრივად ახორციელებს ეკონომიკისა და ქონების მართვის და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურები, აღნიშნული შეუსაბამობა დარჩება ანგარიშის მე-2 თავში - ,,ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციონირების შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები“, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული მე-3 რეკომენდაცია ამოღებული იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშიდან.შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი: კახაბერ გოლუბიანი ადმინისტრაციული სამსახური უფროსი.

3. **ხრაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ჩაუტარდა 01.01. 2017-01.01.2023წ პერიოდის საქმიანობის შემოწმება. აუდიტორული შემოწმების ვადა შეადგენდა 03.07.2023წ-11.08.2023წ.**

**აუდიტის სახე:შესაბამისობის და სისტემური აუდიტი.**

შემოწმების შედეგად, ხარვეზები აღმოჩნდა სამსახურის საქმიანობაში კონტროლის სისტემის  მიმართულებით. სამსახურის 2017-2022 წლების წლიური ანგარიშების მიხედვით:

2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყო სულ  6150305 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4210922 ლარი, ესეიგი ათვისებულია თანხის 66,4%.მოხდა 24 პროექტის მომზადება. შესრულდა 14 პროექტი.

2018 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საბოლოოდ გამოეყო 6 273684 ლარი, მოხდა 31 პროექტის მომზადება, ხელშეკრულება გაფორმდა 29 პროექტზე. ათვისებული  თანხა (საკასო) შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების

57,3%-ს. აღნიშნული პროექტებიდან 24 პროექტი 2019 წელში გადავიდა. ესეიგი, გაჭიანურდა შესრულება და მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო სერვისი.

2019 წლის სტისტიკა ასეთია: დაკონტრაქტდა 19- პროექტი სახელშეკრულებო თანხაა 4 060 648 ლარი, ჯამში საკასო ათვისებამ შეადგინა 870 498 ლარი რაც ასათვისებელი თანხის 21%-ია.

2017-2019 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხების საკასო შესრულების ძალიან დაბალი მაჩვენებელია, რაც სამსახურის მიერ კონტროლის არასათანადოდ განხორციელებაზე მიუთითებს. სამსახურის მიერ არ იქნა სწორად შემუშავებული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.

2020 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N2630 (18.12.2019) განკარგულებით გამოეყო 338 610 ლარი, განკარგულებაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება. 2020 წლის 19 აგვისტოს N1578 ცვლილებით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 4 895 514 ლარი. 2020 წელში გადმოტანილი იქნა 2019 წლის შუსრულებელი განსახორციელებელი პროექტების ძირითადი შემაფერხებელი იყო 2019 წელს ვერ შესრულებული პროექტები რომლებიც გადმოვიდა 2020 წელში. ასეთი იყო 8 პროექტი:

1.სოფელ მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;

2.სოფელ ბაბში გზის რეაბილიტაცია;

3.სოფელ წყალაფორეთში ბაღის უბნის გზის და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია;

4.სოფელ სარგვეშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

5.სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია;

6.სოფელ დეისის მეორე უბნის გზის რეაბილიტაცია;

7.სოფელ ხიდარში ჯორტების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

8.სოფელ ზარანში გზის რეაბილიტაცია.

გამოყოფილი თანხა 4 895 514 ლარი დაკორექტირდა 4 516 548 ლარით. თანხის კლება 378 966 ლარი გამოწვეული იყო 1 პროექტის თანხის ამოკლებით (სოფელ სარგვეშის გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი), საბოლოოდ 2020 წლის საკასო შესრულებამ შეადგინა 4 371 252 ლარი რაც ნიშნავს, რომ თანხის ათვისება შესრულდა 96 %-ზე მეტით.

2021 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N2685 (31.12.2020) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 809 796 ლარი,

თავდაპირველად დაფინანსდა 15 პროექტი, განკარგულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 5 269 395 ლარი, ხოლო პროექტების რაოდენობა გაიზარდა 30-მდე. საკასო შესრულებამ შეადგინა 5 167 373 ლარი. რაც გამოყოფილი თანხის 98,06%-ია.

2020-2021 წელს შავ სიაში მოხვდა და ხელშეკრულება შეუწყდა კომპანიებს, რომლებიც 2018-2019-2020 წლებიდან ახორციელებდნენ პროექტებს და დასრულება ვერ შეძლეს. სულ ხელშეკრულება შეწყდა 10 პროექტზე, მოხდა დარჩენილი სამუშაოების გამიჯვნა, ფასთა ცვლილების გამო საჭირო გახდა პროექტების გადაფასება გაზრდილი ღირებულება კი შეივსო ადგილობრივი სახსრებით 284 564 ლარი, ჯამში 10 პროექტის სატენდერო თანხამ შეადგინა 2 680 752 ლარი. არასაკმარისი კონტროლი იყო მიზეზი აღნიშნული ხელშკრულებების გაჭიანურებისა და მისი ღირებულების გაზრდისა. დაუსაბუთებელი მოთხოვნების გამო არ უნდა მომხდარიყო შესრულების ვადების გადაწევა. სამსახურს უნდა ეწარმოებია კონტროლი ამ საკითხზეც.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დადებული შესყიდვის ხელშეკრულებები ძირითადად შეწყვეტილია იმ საფუძვლით, რომ სამუშაოების შესრულების ვადის გადაცილებისთვის დარიცხული პირგასამტეხლოს თანხამ შეადგინა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე მეტი. ხელშეკრულებების პირობებიან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, დათქმული საფუძვლის აღმოჩენისთანავე უნდა მოხდეს ხელშკრულების შეწყვეტა, მოცემულ შემთხვევებში კი, ხელშკრულებები შეწყვეტილია დაგვიანებით, საფუძვლის დადგომიდან არაგონივრულ ვადაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს შეუსაბამობის არსებობას ხელშეკრულებების პირობებთან, რაც გამოწვეულია კონტროლის სისტემის ხარვეზებით. ამ შემთხვევაშიც მოსახლეობამ ვერ მიიღო სერვისი დროულად.

2018 წლის 26 ოქტომბერს დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N161სოფელ ლაშეში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ. ხელშკრულება კორექტირებულია 5-ჯერ და გადაწეულია სამუშაოების დასრულების ვადები იმგვარად, რომ პატივსადები მიზეზი არაა მითითებული. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 2019 წლის 23 თებერვალს და დამთავრდა დაგვიანებით, 2019 წლის დეკემბრის თვეში. 2019 წელს დადებული ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი შეუსრულებელია და მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო ხელშკულებით გათვალისწინებულ სიკეთეებზე წვდომა. ამასთან შეწყვეტილი ხელშეკრულებები ჩანაცვლებული იქნა ახალი ხელშეკრულებებით, რომელიც დაიდო სხვა მეწარმე სუბიექტებთან. აღნიშნულით მუნიციპალიტეტს გაეზარდა ხარჯი, რადგან გაძვირდა ხელშკრულების ფასი. ასეთი ხელშეკრულებებია, მაგალითად: შპს „ბორი“-სთან დადებული „ნიუ გრუპი“-სთან დადებული N60,69, 107; შპს “ნიკასთან“ დადებული N77, შპს „ჭედასთან“ დადებული N64 ხელშეკრულებები. გაჭიანურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2020 წელშიც და ამ შემთხვევაშიც მოსახლეობამ ვერ მიიღო დროულად შესაბამისი სერვისი, კერძოდ, სასოფლო გზების

მოწყობა. მაგალითისთვის მოვიხმობთ: შპს „ალპედე“-სთან“ ხელშეკრულება N52 დაიდო 16.03.2020წ და დამთავრდა დაგვიანებით, ამავე წლის 23 დეკემბერს. შპს „იმერმშენთან“ დადებული ხელშეკრულება დასრულდა 6 თვის დაგვიანებით. ასევე დაგვიანებით დასრულდა შპს „ბლექ სი გრუპთან“. 2019 წლის 06 მარტს ამხანაგობა „ნიუ გრუფთან“ დაიდო N44 ხელშეკრულება სოფელ მოლითში ცენტრალური სასოფლო გზის და სოფელ ბაბში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშკრულებების დასრულება გაჭიანურებულია კანონიერი საფუძვლის გარეშე.

30.07.2021წ დადებულია N168 ხელშეკრულება შპს „კოხტის ძირი 2010“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში საუბნო გზის რეაბილიტაციის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული22.10.2021წ N12/1-1227 ცნობის საფუძველზე, თუმცა, ცნობაში არაა მითითებული ნალექების რაოდენობა და სიხშირე, რითაც ძნელად გასაგებია იყო თუ არა სამუშაო პირობები შუძლებელი ცნობაში მითითებულ დღეებში. ასევე შცვლილია ხარჯთაღრიცხვა დასაბუთებული საფუძვლის გარეშე. ასეთივე მდგომარეობაა 26.07.2021წ შპს „ნიუ იბერიასთან“ დადებულ N 162 ხელშეკრულების შემთხვევაშიც.

2022 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N75 (17.01.2022) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 775 762 ლარი, დაფინანსდა 19 პროექტი. საკასო შესრულებამ ეკონომიების გათვალისწინებით შეადგინა 100%.

2022 წელს დადებულ ხელშეკრულებებზე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით: 25.02.2022წ ი/მ დავით ცერცვაძესთან დადებულ N41, 16.02.2022წ შპს „მშენებელთან“, 14.02.22წ შპს „სანდროსთან“, 21.02.2022წ შპს „მშენებელთან“დადებულ, 10.03.2022წ შპს „მეკასთან“ დადებულ N53, შპს „გგ“-სთან 17.03.2022წ დადებულ N59 ხელშეკრულებებზე ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებები განხორციელებულია პატივსადები საფუძვლის გარეშე. ძირითადად ცვლილება ხდება სამუშაოების დროს წარმოშობილი გარემოებების და ხარჯთაღრიცხვასა და შესასრულებელ სამუშაოებს შორის არსებული უზუსტობების გამო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემსრულებლელი სუბიექტები არ ეცნობიან ადგილზე, ხელშეკრულების დადებამდე და სამუშაოების დაწყებამდე, ჩასატარებელ სამუშაოებს. აღნიშნულ საკითხებზე სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ადგილზე ვითარების გაცნობა შემსრულებლებისთვის.

მერიაში შექმნილია კონტროლის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულებების შესრულებაზე. აღნიშნული ჯგუფი განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ. რადგან ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ფუნქცია ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N33 დადგენილების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არის ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე მონიტორინგი, სამსახურმა ყურადღება უნდა მიაქციოს ვადების გაგრძელებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტებში ცვლილების შეტანის საფუძვლიანობის საკითხს. მართალია კონტროლის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, ეს არაა საკმარისი ეფექტური კონროლის განსახორციელებლად. საჭიროა სამსახურში განისაზღვროს მონიტორინგისთვის საჯარო მოსამსახურე ან/და მოსამსახურეები. ორმაგი კონტროლი უფრო ეფექტური იქნება მოცემულ საკითზე.

ძირითადი რისკები

ობიექტის ფუნქციონირების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შესაბამისობისა და შიდა კონტროლის ხარვეზები, რაც საფუძველია შესაბამისი რისკების.

რეკომენდაციები

1. დამატებითი სრულყოფილი კონტროლის მიზნით, სამსახურის მიერ დაინერგოს მონიტორინგის ჩატარება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომ არ მოხდეს პროექტების გაჭიანურება, რაზეც უნდა შედგეს შესაბამისი დოკუმენტი.

2. ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯთაღრიცხვის ცვლილება და ხელშეკრულების ვადების გაგრძელება მოხდეს დასაბუთებული საფუძვლით, რაც დოკუმენტალურად უნდა დადასტურდეს.

**5 მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.** ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმების პერიოდი მოიცავდა 01.01.2017წ-01.01. შემოწმების შედეგად, ხარვეზები აღმოჩნდა სამსახურის საქმიანობის კანონთან შესაბამისობისა და კონტროლის სისტემის მიმართულებით.

სამსახურის მიერ წარმოებულია დოკუმენტები წვევამდელ ჭაბუკთა, მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვის, სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის), 17 წლის ასაკის ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვის შესახებ წლების მიხედვით, კარტოთეკის სახით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 10.04.2017წ N49444 ბრძანებით დამტკიცებულია 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სია 8 პიროვნებაზე, ხოლო ბრძანების დანართში აღრიცხულია 9 ჭაბუკი. დამატებულია 1 პიროვნება, დაბადებული 1996 წელს. 27.02.2019წ N49350 ბრძანებაში 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მითითებულია 20

ჭაბუკი, ხოლო დანართში აღრიცხულია 22. ამავე წლის N49351 ბრძანებაში მითითებულია 26 ჭაბუკი, ხოლო დანართი სიით აღრიცხულია-40. 2002 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვის შესახებ 2020 წლის ანგარიშში ნაჩვენებია 121 პიროვნება, ხოლო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში ნაჩვენებია-120. 2021-2022 წლებში ასეთი შეუსაბამობა აღარაა.

შესამოწმებელ პერიოდში გაწვევის შესახებ ინფორმაცია(უწყება) არ დევს ზოგიერთი წვევამდელის პირად საქმეში, რაც შეუსაბამოა საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე-6 მუხლის მოთხოვნებთან.

შესამოწმებელ პერიოდში, არის შემთხვევები მასზედ, რომ გამწვევი კომისიის მიერ გაწვეული პირები, მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, ცნობილი არიან სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად, დროებით უვარგისად ან სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულ ვარგისად. ასეთ შემთხვევაში გამწვევ კომისიას უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. აღნიშნული ნორმა დაცული არაა1. აღნიშნული შეუსაბამობები გამოწვეულია კონტროლის სისტემის ხარვეზით, სამსახურის ხელმძღვანელმა უნდა გააძლიეროს კონტროლი.

2017-2022 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მონაცემები ასეთია:

2017 წელს საგაზაფხულო გაწვევისას გადაედო გაწვევა 456 პირს, ხოლო საშემოდგომოს გაწვევისას-448-ს;

2018 წლის საგაზაფხულო გაწვევისას გაწვევა გადაედო 524 წვევამდელს, შემოდგომის გაწვევისა-499-ს;

2019 წელს გადაედო გაწვევა გაზაფხულზე487 პირს, შემოდგომაზე 441-ს;

2020 წელს საგაზაფხულო გაწვევისას გადაედო გაწვევა 441-ს, ხოლო შემოდგომაზე-471-ს;

2021 წლის საგაზაფხულო გაწვევისას გადაედო გაწვევა 489 წვევამდელს, საშმოდგომო გაწვევისას-486-ს;

2022 წელს გაწვევა გადაედო საგაზაფხულო გაწვევისას 467 წვევამდელს, საშემოდგომო გაწვევისას-490-ს.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება ძირითადად მოხდა კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ა-გ3, ე-ჟ პუნქტებით, ასევე პოლიტიკური პარტია „გირჩის“ „ბიბლიური თავისუფლების რეფორმაციის“ საფუძვლით.

ძირითადი რისკები

ობიექტის ფუნქციონირების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შესაბამისობისა და შიდა კონტროლის ხარვეზები, რაც საფუძველია შესაბამისი რისკების.

რეკომენდაციები

1. დამატებითი სრულყოფილი კონტროლის მიზნით, სამსახურის უფროსმა გაზარდოს კონტროლის დონე თავის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოსამსახურეებზე.
2. სრულყოფილად შეიქმნას წვევამდელთა პირადი საქმეები, ყველა კანონით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტით.
3. სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად, დროებით უვარგისად ან სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულ ვარგისად ცნობილი წვევამდელების შესახებ, გამწვევი კომისიის მიერ შედგეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

6. **მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური.** შიდა აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა 01.01.2017წ-01.01.2023წლების საქმიანობის. შიდა აუდიტის ჩატარების ვადა მოიცავდა 21.09.2023წ- 17.11.2023წ.

შემოწმების შედეგად, ხარვეზები აღმოჩნდა სამსახურის საქმიანობაში კონტროლის სისტემის მიმართულებით და სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით.

2017 წელს მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებდა 5 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა, 2018 წელს- 6 ძირითადი და 17 ქვეპროგრამა, 2019 წელს- 6 ძირითადი და 22 ქვეპროგრამა, 2020 წელს -21 ქვეპროგრამა, 2021 წელს 21 ქვეპროგრამა, 2022 წელს- 21 ქვეპროგრამა.

2017 წლის განმავლობაში სხვადასხვა სოციალური პროგრამებით დახმარება გაეწია 2516 ბენეფიციარს, 2018 წელს 2858 ბენეფიციარს, 2019 წელს 3255 ბენეფიციარს, 2020 წელს 3449 ბენეფიციარს, 2021 წელს 4502-ს, 2022 წელს 4902 ბენეფიციარს.

შიდა აუდიტორული შემოწმებისას განცხადებებთან დაკავშირებული საქმის მასალები გადამოწმდა შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით, მასალების სიმრავლიდან გამომდინარე. შერჩეული იქნა ყოველი მე-10 ფაილი წლების მიხედვით.

2021 წელს, ორ შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარება ისეა გაცემული, რომ ბენეფიციარს არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტები სრულყოფილად, რაც გათვალისწინებულია იმ პერიოდში მოქმედი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის N 9 დადგენილების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლით, კერძოდ, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან. მაგალითისთვის მოვიხმობთ ბენეფიციარების: თ. ჭანკოტაძის, მ. გურგენაშვილის ფაილებს. სამსახურის განმარტებით, 2021 წელს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ბენეფიციარები ვერ ახერხებდნენ გადაადგილებას ხსენებული დოკუმენტის მისაღებად. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ბენეფიციარების

მიერ ცნობები წარმოდგენილია კანონის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, შიდა აუდიტორები რეკომენდაციას არ გასცემენ, რადგან შეუსაბამობები დაშვებულია 2021 წელს, ხოლო 2022 წელს ასეთი შემთხვევა აღარ ფიქსირდება.

ძირითადი რისკები

ობიექტის ფუნქციონირების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შესაბამისობისა და შიდა კონტროლის ხარვეზები, რაც საფუძველია შესაბამისი რისკების. აღნიშნული რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან წინა წლებში არსებული ხარვეზები 2022 წელს აღარაა განმეორებული. აქედან გამომდინარე,რისკების ხარისხი შესაძლოა შეფასდეს დაბალი ხარისხის რისკად და მათ შესახებ რეკომენდაციები ანგარიშში აღარ გაიწერა. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი რისკები მეტწილად იდენთიფიცირებულია და იმართება, ხოლო გამოყენებული კონტროლები სრულად უზრუნველყოფენ პროცესებისთვის დამახასიათებელი არსებითი რისკის მისაღებ დონემდე შემცირებას.

7. **ა(ა)იპ ,,სამუსიკო სკოლა“ შიდა აუდიტის ჩატარების პერიოდი მოიცავდა 01.09.2019წ-01.09.2023წ. შიდა აუდიტის ჩატარების ვადა იყო 2023 წლის 08 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე.**

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ობიექტს 2019 წელს ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ. იმ დროისათვის გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია ნაწილობრივ, რის გამოც ნარჩენი რისკები არსებობს დღეის მდგომარეობით, კერძოდ, ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვა, რაც გამოიხატება საკუთარი შემოსავლების გეგმის შედგენისას გაუთვალისწინებლობაში, თუმცა განსაზღვრა შესაძლებელი და პროგნოზირებადი იყო. აღნიშნული საკითხის მოგვარება აამაღლებს სამუსიკო სკოლის ხარჯსარგებლიანობას.

შესამოწმებელ პერიოდში სამუსიკო სკოლაში ინვენტარიზაცია ჩატარებულია.

მუსიკალურ სკოლაში 2019-2020 სასწავლო წლებში სწავლობდა 65 მოსწავლე. 9 მოსწავლე გათავისუფლებულია სწავლის საფასურის გადახდისგან, როგორც სოციალურად დაუცველი.

2020-2021 წლებში მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა 64 მოსწავლე, საიდანაც 15 მოსწავლე იქნა გათავისუფლებული სწავლის საფასურისგან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საფუძვლით. ამავე საფუძვლით 2021-2022 წლებში, 61 მოსწავლიდან, საფასურისგან გათავისუფლებულია 16 მოსწავლე. 2022-2023 სასწავლო წლებში სწავლობდა სულ 61 მოსწავლე. აღნიშნულ სასწავლო წელს საფასურისგან იგივე მოტივით

გათავისუფლებულია 17 მოსწავლე. სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება საბანკო ანგარიშსწორებით.

სამუსიკო სკოლის დირექტორის 2020 წლის 22 მაისის N6 ბრძანებით კორონავირუსის პანდემიის გამო სკოლის ყველა მოსწავლე-65 ბავშვი 3 თვის განმავლობაში გათავისუფლდა გადასახადისგან, თუმცა ბრძანება დაგვიანებით, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაა გამოცემული. დაგვიანებითაა ბრძანება გამოცემული ანალოგიურ საკითხზე 2021 წლის 21 ივლისსაც-ბრძანება N6, რომელიც მოსწავლეებს გადასახადისგან ათავისუფლებს 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის იანვრის ჩათვლით. 2022-2023 სასწავლო წელს ბრძანებების გამოცემისას, დაგვიანებით აქტის შედგენის ფაქტი აღარ ფიქსირდება და რეკომენდაციას მოცემულ საკითხზე შიდა აუდიტორები არ გაცემენ.

შესამოწმებელი პერიოდის წლიური ბიუჯეტები ისეა დაგეგმილი, რომ მასში არაა გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლების ხარჯვის მიმართულების დაგეგმვა. ორგანიზაციის ბუღალტრის კ. ფცქიალაძის განმართებით, აღნიშნულ თანხას ხარჯავენ მცირე ფასიან ინვენტარში და აქვთ გაუთვალისწოინებელი ხარჯებისთვის. აღნიშნული საკითხი ნარჩენ რისკად მოყვება მუსიკალურ სკოლას წინა შიდა აუდიტორული შემოწმებიდან, როგორც შეუსრულებელი რეკომენდაცია. აღნიშნული სიტუაცია ზრდის რისკის მადას. აღნიშნული შემოსავლები უნდა გაიწეროს გეგმაში, რაც ორგანიზაციისთვის ხარჯსარგებლიანი იქნება.

შესყიდვების გეგმა 2022 -2023წ. დაგვიანებითაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რაც შუსაბამობაშია შესყიდვების კანონმდებლობასთან.

ობიექტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

მუსიკალურ სკოლას ნარჩენ რისკად აქვს საკუთარი შემოსავლების დაუგეგმაობა, რასაც ხელმძღვანელობა იღებს, თუმცა ის უნდა გამოსწორდეს. რისკები მართულია ნორმის ფარგლებში.

რეკომენდაციები

1. გადახარჯვებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალურად შემცირებისათვის, ორგანიზაციის მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა დაიგეგმოს საკუთარი შემოსავლებიც და გეგმაში უნდა ჩანდეს რა ხარჯებისთვის იქნება იგი მიმართული;

2. შესყიდვების გეგმა დროულად იქნას ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

## 8. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების მონიტორინგი მოცემულ საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა შემდეგ ობიექტებს: 1. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს. მიეცა 5 რეკომენდაცია შეასრულა 2 რეკომენდაცია შესრულდა 40% , სამ რეკომენდაციის შესრულებაზე მიმდინარეობს მუშაობა 2.სსიპ,,ბორის საჯარო სკოლა“-ს მიეცა 3 რეკომენდაცია შესრულებულია 100% 3.ა(ა)იპ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი-ს მიცემული ქონდა 4 რეკომენდაცია შესრულდა 100%.“ 4.ა(ა)იპ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს მიცემული ქონდა 6 რეკომენდაცია აქედან შეუსრულებელი დარჩა ერთი რეკომენდაცია, შესრულება შეადგენს 83%-ს .5,,ა(ა)იპ კულტურისა ხელოვნების ცენტრი“-ს მიცემული ქონდა 8 რეკომენდაცია,მონიტორინგის დროს შესრულებული იქნა 7 რეკომენდაცია ამჟამად შესრულებულია 100%-ით. 6. ,,მერიის ადმინისტრაციის სამსახური“-ს ორი რეკომენდაციიდან შესრულებულია ორი, 100%.. 7.,,მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური“ -ს მიეცა ორი რეკომენდაცია შესრულდა 100%-ით. 8.,,მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური“-ს მიეცა სამი რეკომენდაცია შესრულდა სამი-100%-ით..

შიდა აუდიტის სუბიექტის საჯარო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს მერიის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ტრენინგებში.

### დასკვნითი ნაწილი

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, მატერიალური მარაგების კანონთან შესაბამისობის, როგორც აღრიცხვა-კონტროლთან, ასევე ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გამოვლენილია სისტემური ხარვეზები. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია შიდა აუდიტის ობიექტების მიერ, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების მონიტორინგზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი

აკაკი ლურსმანაშვილი